გურამ რეულიშვილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში ზვიად გამსახურდია აღნიშნავს: „რა შობს მოყვანისადმი თავგანწირვას? სიყვარული, ყოვლისმომცველი უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი. რა შობს თავისუფლებას? იგივე სიყვარული ოღონდ სიყვარული უზენაესი ჭეშმარიტებისადმი. სად არიან მოწმენი უზენაესი ჭეშმარიტების სიყვარულისა, ესენი არიან გელათის აკადემიის აწ დახვებულნი კედლები, ეს გახლავთ იყალთოს კიპარისების მისტიკური სიხუმე, სად არიან მოწმენი მოყვანისადმი თავგანწირვისა? ესენი გახლავთ ველები ანისისა, დიდგორისა.“

აქვე იბეჭდება ზვიად გამსახურდიას „საქართველოს ხელიერი მისია“-

ბონარდის: ტროლეები უხსნიან აქველებს, რომ ისევე როგორც მათ მოიტაცეს ქალი, ე.ი. მედეა, აქამად მათ მოიტაცეს ელენე, რომელიც ამდენად კოლხების მიერ არის მოტაცებული. ტროლეები და კოლხები ერთი და იმავე მოდგმის ხალხია და მთელი აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკუთვნის ამ მოდგმას. აი, ასეთი შორს მიმავალი დასკვნები აქვს თანამედროვე მეცნიერებას, მაგრამ როგორც მოგახსენებთ, ხდება ყოველივე ამის ტაბუტირება და ხდება ინდო-ევროპელების როლის წინ წაშლვა, იმ არქაულ, პრეისტორიულ ეპოქაში, არადა ჩვენ ვიცით, რომ ინდო-ევროპული მოდგმა ძირითადად აღზევდა მეორე ათასწლეულიდან და ტროას ომი „ილიადა“ ფაქტიურად არის პერიოდი, როდესაც ინდო-ევროპელი მოდგმა უკვე მძლავრობს მცირე აზიაშიც და საბერძნეთშიც და პელაზგურ მოდგმას დეკადანსი ემუქრება, თუმც ტროას ომის უდიდესი გმირი-აქილეუსი წარმოშობით პელაზგია ე.ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელია, ხოლო აგამენონი და მენელაოსი არიან წმინდა ელინური წარმოშობის ადამიანები და ელინური სამყაროს წარმომადგენლები, აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის.

ტროა ეს არის პროტოქართული სამყარო, ელინური სამყარო კი აქაველებია.


ჩვენს უახლეს წარსულზე, შეც-

დომებზე, ურთიერთობაზე, დარდიან ფიქრებს აღძრავს ვრცელი სატია სამეგრელოს, ე.ი. ქართული სულისა და სრულიად საქართველოს ტიპიული „უგუნური მოკეთის დაღატის“, თუ „გონიერი მტრის“ მიზეზით.

როგორც აქ არის აღნიშნული, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ვანდალური ოპერაციების შედეგები ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის მოსახლეობისათვის.

აი, როგორ აღწერს დარჩელის ტრაგედიას ჟურნალისტი ნატო კორსანტია: „ჩველა ეურს დარჩელიშრომელიც გამოქვეყნდა ვაზეთ „შანსის“ 1997 წლის 2-3 ნომერში.

„სულ რაღაც ორმოც წუთში დარჩელს „ბეტეერებზე“ ამხედრებული 30-მდე „სოლიდურად“ შეიარაღებული პირი დაესხა თავს. მხელია სრულად აღწერო ის, რაც მერე იქ მოხდა. ნარკოტიკებით გაბრუნებული ჯერ გარედან ცხრილავდნენ მშვენიერ სახლებს, შემდეგ შედიოდნენ შიგნით, გამოჰქონდათ ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ და მერე პირწმინდად გაძარცვულ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ და სულაც ბეტეერებიდან უშენდნენ ჭურვებს და აფეთქებდნენ. გამგებლებს ელენე, ველური ყიყინით, ავტომატებით კაკანით, უშეერი გინებიათა და შეძახილებით გადარბოდნენ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე, სახლიდან - სახლში, ეზოდან - ეზოში და ამტვრევდნენ, ამხსნევდნენ, აფეთქებდნენ.“



ამ თემის გაგრძელებაა პოეტისა და პუბლიცისტის ვახტანგ ხარჩილავას წერილი „სიმებდაწვევითი ჩონგური და მეგრელმოძულეობის“ სინდრომი.

იგი წერს: დამის 1 სთ-ზე „ასავალ-დასავალის“ რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა დამირეკა:-

ახლა ამ წუთას აღექსანდრე ფოცხიშვილის წერილი წავიკითხე, იგი რა გამახსენდა? ხრუშოვის დროინდელი ლოზუნვა: საქართველო ქართველების გარეშე!

ვგრამ ვაგახსენა მეთქი-გამიკვირდა.

რამ გამახსენა და იმან გამახსენა, რომ თუ ხრუშოვს საქართველო უნდოდა ქართველების გარეშე, ბოლო 20 წელთა წარმატებით ხორციელდება პროექტი „საქართველო მეგრელების გარეშე“.

იმდენად მოულოდნელი იყო ეს ფრაზა, ხმა ვერ ამოვიღე-აბა, ვაიხსენე, რა ხდებოდა და რა ხდება ამ 20 წლის მანძილზე: ჯერ იყო სამეგრელო ააწიოკეს, დაოხრეს, მერე აფხაზეთიდან გამორეკეს 300 ათასი ადამიანი, ნახევარი სამეგრელო რუსეთშია გაქცეული და გარუხებიათათვის არის განწირული. მეგრელთა რაოდენობა საქართველოში თითქმის განახევრდა. სამეგრელოში უკვე მიიწავლა ის ეროვნული ენერგია, საქართველოს რომ ასახრდობდა და აცოცხლებდა. სამეგრელო, ფაქტობრივად აღარ არსებობს, რაც კვავს ყოველივე იმას, რომ რაღაც ძალები მიზანმიმართულად ახორციელებენ პროექტს, რომელ-

საც „საქართველო მეგრელების გარეშე“ ჭეია?

საინტერესო წერილებია აფხაზეთის თემაზე, ანზორ შონია „აფხაზეთი: დანაშაულის ტოლფასი უთქმელობა.“ შესავალშივე აღნიშნულია: აფხაზეთი საქართველოს მკვიდრი ნაწილია. I-II საუკუნეებიდან აფხაზეთად იწოდება, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ევრისის სამეფოს ჩრდილო დასავლეთი ტერიტორიაა. ანაკოფიიდან (დღევანდელი ახალი ათონიდან) ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები).

„აფხაზი“ ამ ეპოქიდან აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა. ისევე, როგორც ლაზიკაში მცხოვრებ მეგრელს ერქვა ლაზი, იმერეთში იმერელი, გურიაში-გურული, აჭარაში-აჭარელი, რაჭაში რაჭველი და ისტორიული აფხაზი, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენელი, ჭეშმარიტი ქართველი იყო.

„თანამედროვე აფხაზები-დღევანდელი აფხაზების 88-90% ქართველი აფხაზების შთამომავლები არიან, ხოლო 10/12%-ი ბოლო 2-3 საუკუნეში აფხაზეთში ჩამოსული ჩრდილო-კავკასიელების-ჩერქეზების, ადიღების, ყაბარდოელების, ბალყარების და ა.შ. შემკვიდრებები.“

ფაქტობრივად, დღევანდელი აფხაზებიც ეთნიკურად ქართველები არიან და უმნიშვნელო რაოდენობის უცხოელები რეალურად ვერაგითარ გააქციან ვერ ახდენენ ეთნიკურ სიტუაციაზე.

აქვე იბეჭდება ვია კვაშილავას სენსაციური აღმოჩენა „ფესტოსის დისკო“ „ეკლესიური დამწერლობა“

„ფესტოსის დისკოს საიდუმლო: საქართველო დღისმშობლის ქვეყანა“.

მსოფლიო არქეოლოგიის ისტორიაში არის აღმოჩენილი და გაშიფრული ორი უძველესი დამწერლობის ძეგლი I-მეგრების ტექსტი (წოდებული შუმერული) და 2 - ფესტოსის დისკო საბერძნეთის კუნძულ კრეტიდან. ორივე დამწერლობის ძეგლი თიხის ფირფიტებზე ასახავს ქართველი ერის ისტორიას, თუმცა, შუმერული ტექსტები რომ საქართველოს ისტორიის კუთვნილებაა ჯერ დამტკიცებულად არ მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს საკმარისი მასალეები ასეთი აღიარებისათვის.

ფესტოსის დისკო არის აღიარებული, როგორც კოლხეთ-საქართველოს ოქრო დამწერლობა და ამტკიცებს ცივილიზაციის დონეს ყველაზე ნაკლები 4 ათასი წლის წინ. ფესტოსის დისკოს ანალიზის შედეგად გაირკვა კოლხეთ-საქართველოს უძველესი წარსულის რეალობა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ძველი წელთაღრიცხვით მე-15 საუკუნემდე მთელი ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზების სივრცე დასახლებული ყოფილა მრავალი პროტოქართველური ტომებით.

ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას სტატია „გულის არქივში ნათლად ჩაქარგული გონების დაღატისი“. ეს გახლავთ მთაზრებები ცხოვრება გავლილი კაცისა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობის მაგალითი, ანალიზი, სამომავლო ხედვები, წინააღმდეგობები და გულისტკენა, რაც შესავალშივე არის გამოქვეყნებული.

ეს არის ბედი კაცისა, დაუღებარი ცხოვრება და შემართება. ჟურნალში ასევე გვხვით სამეცნიერო ისტორიული სტატიები და შრომები, განსაკუთრებით კოლხეთის პრობლემატიკაზე, ქართულ-ებრაელ ურთიერთობაზე.

მილოცვა

საყვარელ შეილიშვილს ლუკა ჯაბელიას



გილოცავთ დაბადების დღეს და შობა-ახალწელს ჩვენო საყვარელ ვარსკვლავთვალეება ბიჭუნა ლუკა.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას. თავზე მუდამ დაგნათოდეს უღრუბლო და ვარსკვლავებით მოჭერილი ცა.

გაიზარდე მშობლების სასახელო ბიჭი. არ მოგკლებოდეს მათი სიბო და სიყვარული.

დაე, 2016 წელი ყოველგვარად მშობლების წარმატებების მომტანი, ყველაზე ელიტარულ სახეობაში - ჭადრაკში.

წმინდა გიორგის მაღლი გფარავდეს ჩვენო სასახელო და საიმედო ლუკა.

შენი მოსიყვარულე ბებია ლარისა და ბაბუა კაკო ჯაბელია

აღმოსავლური ჰოროსკოპი



აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, 2016 წელი ცეცხლოვანი (წითელი) მაიმუნის წელია. ეს არის მოგზაურობის, ავანტიურების, ზოგჯერ დაუფიქრებელი საქციელის, აქტიურობის, ინტუიციური გადაწყვეტილებებისა და პედნეობის ძიების წელიწადი, რომელიც აღმოსავლური (ჩინური) კალენდარით, 2016 წლის 8 თებერვალს 18 საათიდან და 38 წუთიდან დაიწყება და 2017 წლის 27 იანვარს დასრულდება.

პლანეტები: მერიკური: 4 და 9
პლანეტები: მთის ბროლი, აკვამარინი, ქრიზოლიტი
პლანეტები: ქრიზანთი
პლანეტები: თეთრი, ოპროსფერი, ფიოლი
წლის ნიშნები: ცეცხლი და ლითონი

საქართველოში 2016 წელს ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილება მოხდება. საპარლამენტო არჩევნებამდე და მის შემდგომაც არ შეწყდება გააფთრებული იდეოლოგიურ - პროპაგანდისტული ომი. სოციალურ ეკონომიკურ სფეროში. ავანტიურისტულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება რადიკალური ცვლილებები გამოიწვიოს. არ არის გამორიცხული ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. მოვლენების განვითარებაში დიდ როლს ითამაშებს პიროვნება.

სოციალური და ეკონომიკურ ცვლილებებთან ისეთ ქვეყნებს, როგორც იტალია, არ არის გამოდგომის დიდმა ბრტყელად დაბალია, რომ ეს ვეროწლის ბოლოს დაიშალოს, ფულად ერთეულს - ევროს 2015 წელს დაწყებულ ფინანს-მნიშვნელოვანდ მოიმატებს ტენციული და პოლიტიკური არ არის გამორიცხული ლიტიკური, ისე შეიარაღებულ შორის. რომელშიც სხვა სან, რათა თავიდან აიცილონ გლობალური კატასტროფა. გამდიდრება რუსეთის გაგდება. რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების მკვეთრი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის. შემცირდება აშშ-ს გაგდება მსოფლიოზე. ამ ქვეყანაში, შესაძლოა, დაიწყოს სოციალური აფეთქებები.



კური პრობლემები შეექმნება არის პორტუგალია რიცხული ევროკავშირი მა და, საერთოდ, დიდია გაერთიანება უკვე 2016 სახარბიელო ბუდი არც ელის: რაც გააღრმავებს სურ კრიზისს ევროპაში. ჩინეთის ეკონომიკური პოგავლება მსოფლიოზე. კონფლიქტი, როგორც პოლი, ირანსა და თურქეთს ხელმწიფოებშიც ჩაებებინება.

2016 წელს კვლავ ყურადღების ცენტრში იქნება ახლო აღმოსავლეთი, კერძოდ, სირია, სადაც უფრო მეტად გააქტიურდებიან ტერორისტული ორგანიზაციები, საზოგადო კი, ევროპაში მოსალოდნელია ტერორისტული აქტების ტალღა. რთული პერიოდი იხეთი ქვეყნებისათვის როგორცაა გერმანია, ნორვეგია ერაყი და ინდოეთი.

ბიროსა

შობა-ახალ წელს მილოცავთ ყველა ფოთელს, მათ შორის ზურაბ აბრამაშვილს, ვანო ნარბანი, დევიდო მოგვით კალი და დონე კვლავამ ემსახურეთ ხალხს და ქვეყანას.

ნაბი მიმინოშვილი



მსოფლიო ბანკის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 2016 წელს 3 %-ით, 2017-ში - 4,5 %-ით, 2018 წელს კი 5%-ით გაიზრდება.

ქალაქი და ინფრასტრუქტურა

ფოთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა გრძელდება



ფოთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობაზე რეგიონალური განვითარების ფონდიდან 1 მილიონ 191311 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „Engineering Servise Company“ ასრულებს.

პროექტის მიხედვით 2015 წლის 15 აგვისტოდან 2016 წლის სექტემბრამდე პერიოდში სულ ქალაქში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების 50 ეზო კეთილმოეწყობა.

ამჟამად დასასრულს უახლოვდება რუსთაველის რაიონის №14 მრავალბინიანი სახლის ეზოს კეთილმოწყობა. აღნიშნულ ეზოს უზრუნველდება ახალი სივრცეები.

კომუნისტური წყობილების პერიოდში აღნიშნული ბინა სამხედრო უწყების შემადგენლობაში შედიოდა და ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და სანიმუშო იყო თავისი ინფრასტრუქტურით. მა-

გრამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მობინადრეთა თვითნებობის შედეგად იმდენად მოიშალა ინფრასტრუქტურა, რომ ეზოში ანტისანიტარიამ დაიხარჯებოდა.

განსაკუთრებით კანალიზაცია გამოვიდა მწყობრიდან, ივსებოდა ტუბები და გადმოდიოდა ფეკალი, რითაც ბინადრებოდა გარემო და იქმნებოდა გაუსაძლისი პირობები.

და აი, 2015 წლის ოქტომბერში დაიწყო ეზოს კეთილმოწყობა. პირველ რიგში გაიწმინდა და შეკეთდა კანალიზაციის ტუბები და ჩაიდგა ახალი მილები. ეს ძალზე რთული და შრომატევადი სამუშაო იყო, რასაც მშენებლებმა წარმატებით გაართვეს თავი. პარალელურად გაიყვანეს წლის საწრები არხი. გაკეთდა გაზონები და მობინადრეთათვის დასასვენებელი გადახურული ადგილი, რომელსაც ახალგაზრდობამ „ბუნგალო“ შეარქვა.

მობინადრეები ძალზე ემადლიერებიან უპირველესად ქალაქის მერს ბატონ ირაკლი კაკაბაძეს. საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე თოფჩიას, მშენებლებს ზაზა მიქიაშვილს, ნიკო ლემონჯაშვილს და უშუალოდ მუშებს. მერაბ ფოფხაძეს, გიორგი ნოღიას, რაულ კვიციანიას, ლარი ქაჯაიას, ზურაბ ქაჯაიას, ნიკა კვიციანიას, გურთაზ ბანიანიას, რომლებმაც არ დაიშურეს არც ძალა და არც

გამოცდილება და კეთილსინდისიერად, პატიოსნად შეასრულეს თავისი მოვალეობა, რითაც მობინადრეთა პატივისცემა დაიმსახურეს.

ჩატარებული სამუშაოების შემდეგ მოეწყო ეზოს მოასფალტება, რომელიც წარმატებით შეასრულა ხობის „შპს გზამშენი №1“ საწარმომ, რომლის ხელმძღვანელია გულაგი ბარაქია. საქმის მწარმოებელი რამაზ ჩაჩიბაძეა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მალხაზ ყურაშვილი. ასფალტის დამგები მანქანის სპეციალისტი. თითოეული მისი მოქმედება გამომდინარეობდა ქართული სიბრძნიდან „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“, როგორც მან შემდგომ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მთავარია კაცი საქმეს გულით მიუდგეს და აუცილებლად გამოეხადოს, მას არ ახასიეთებს ხერხელობა, არადა ვერაფერ ვერაფერში ვერ დაადასაშაულებს, რამეთუ ეს ასფალტის დამგები მანქანა გამოიხსნია ფართო შარავზეებისა და ავტობანებზე ასფალტის დასაგებად და არა ამ პატარა ეზოებში, სადაც, რომ იტყვიან თავი კუდს ვერ მოიქნევს. მართო ეს უზარმაზარი ტექნიკა და დააგო ასფალტი ნამდვილად არ არის იოლი საქმე. აკი ტყუილად არ აურჩევიათ იგი ხობის საკრებულოს წევრად. მიუხედავად მისი ახალ-

გაზრდობისა იგი თავისი საქმის მაღალი რანგის სპეციალისტია, ასევე აღნიშვნის ღირსია თითოეული მათგანი. ყველანი გულისყურით ეკიდებოდნენ თითოეული მობინადრის მოთხოვნას თუ შენიშვნას, მათგან ყველაზე გამორჩეული მაინც გულაგი ბარაქია იყო. იგი თავის საქმეს საოცრად ოსტატურად და გულისყურით ეკიდებოდა. მაღლიერების ღირსნი არიან ბარაქია ბასო, გვასალია ზურა, ჭაჭია რაჭაზი, სინარულია გიგო, კვიციანი ანსორი.

მართლაც შესაშურ მუყაითობას იჩენდნენ ისინი, მათი ჰარმონიული-შემამატებელი მუშაობა სიამოვნებას გვრიდა



მნახველს. ღმერთმა დალოცოს მათი მარჯვენა და ოჯახები. შემდგომ წარმატებებს გუსურვებთ თითოეულ მათგანს ახალ 2016 წელს.

0. სპერი

პალიტიკა

სოციალური პროექტი – „რა განუხებთ“ 25 იანვრიდან დაიწყება



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და გლობალური ალიანსის პრეზიდენტი ჟან-ელი მალკინი ერთობლივ ბრიფინგს გამართავენ, სადაც ერთობლივი სოციალური ინიციატივის – „რა განუხებთ?“ პრეზენტაცია გაიმართება.

პროექტი „რა განუხებთ?“ საქართველოს მოსახლეობის სურვილებისა და მოლოდინების, მათი საჭიროებების ზუსტად განსაზღვრისთვის შეიქმნა. მის შესახებ ისაუბრებენ ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და „გლობალური ალიანსის“ პრეზიდენტი ჟან-ელი მალკინი.

25 იანვრიდან სპეციალური კითხვარების საშუალებით, მოსახლეობის გამოკითხვა დაიწყება. ახალი ინიციატივა სამინისტროს საზოგადოების სამედიცინო საჭიროებების კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვრაში დაეხმარება. 25 იანვრიდან კითხვარი, როგორც ინტერნეტით – ვებგვერდზე www.1505.ge, ასევე, ჯანდაცვის რეგიონულ ოფისებში იქნება ხელმისაწვდომი. გამოკითხვის შედეგებს დაამუშავებს და შეაჯამებს სოციოლოგიური კვლევის კომპანია.

2015 წლის აპრილში, საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალურ ალიანსს“ შორის საქართველოს ჯანდაცვის სფეროს მართვის ინოვაციური ინსტრუმენტებისა და სრულყოფის მიმართულებების შემუშავების მიზნით შეთანხმება გაფორმდა. საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი „გლობალური ალიანსი“, რომელსაც საფრანგეთის ყოფილი საგარეო და სამგზის ჯანდაცვის მინისტრი ბერნარ კუშნერი ხელმძღვანელობს, ჯანდაცვის სისტემების მართვის მსოფლიოს აღიარებული ექსპერტებია დააკომპლექტებული.

გლობალური ალიანსისა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, ჯანდაცვის სისტემის სრულყოფის დოკუმენტების მომზადება, რომელიც პირველადი ჯანდაცვის რეორგანიზაციის, ხარჯთეფექტურობის გაზრდის, სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ამაღლების, ჯანდაცვის ევროპულ ნორმებთან და კანონმდებლობასთან ინტეგრაციისა და მართვის ევროპული სტანდარტების დანერგვას ითვალისწინებს, დასრულდება.

ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნა „გლობალურ ალიანსთან“ ხელშეკრულება მთავრობის გადაწყვეტილებით 1 მაისამდე გაგრძელდა.

შავა დიპარტემენტის გახსენებას



არასდროს და არც არასოდეს იქნება დავიწყებული შენი სახელი ჩემო შავლეგო, ძმაო და მეგობარო. შენისთანა ქართველი ვაჟკაცები არასოდეს კვდებიან. მათი სახელი უკვდავია და ოქროს ასოებით ჩაიწერება მატრიანეში. იყავი და იქნები ეპოქის თვალსაჩინო და ღირსეული ადამიანი, ფაზისქალაქის საპატიო მოქალაქე და პატიოსნების გვირგვინის მატარებელი. შენი წმინდა სული ზეცაშია ამაღლებული და მარად დარჩება უზენაეს ღმერთთან.

შენ ჩვენთვის ცოცხალი ხარ და მარად დარჩები ჩვენს გულში.

შ ა ვ ლ ე ბ

ნისლით დანისლოლა სვანეთის მთიმი, შხატას შემთხვევითა ღრუბლი შავი, სვანეთს ღვ-გმირი შვილი უკვდობა, სიკვდილი შიჭყლია მწაბრ და ავი, ზანზარქის უშმა, ძღმთუხროლი, თოთნულდს ცრემლიშის ღვაბი ჩამოსდის, ნოთუ სიკვდილმა კლანჭი გამიპკრა, თქნის ავანში გმირად გამიზღდილს, ვაი ნანა, შინთვის ტა აღრე დაღამდა, სასყრე შიგრა მწაბრ ღიმილი, ჩემო შავლეგო, ტაცამ გვარგუნე

მათადილი გულისცვილი. სვანეთი გინმომს მშობლი შენი, სვანეთის მთიმი, თოთნულდი, შხატა, შენი მაგმომის ნაბრენ ბილიკურს შავი შიჭრისი გადაყარა. ნოთუ სიკვდილმა ასე დაგვამნა, ნოთუ ამ მნელოთ ვლარ ვრეგით, ჩემო შავლეგო, ისე ვვლავ ძმურად სანამ ცოცხალვართ მთგოთრებით. სნჩა ადამი-ღედის ნაშობა, მინდა ვვლავ ძმურად შიგენაცვბილთ, იბინე შავლეგ ძმაო ნათიცო, სვანეთის მთიმი ზბრილთ ცმაწვილთ.

სსიპ უოთის ვალერიან გუნიას პროფსიული სახელმწიფო თიპარის თანამშრომელი რამაზ ლაბვილაძე

ქაფშია შეკვამრეს ავროლები სუნის გამო

ფოთელთა მოთმინების ფიაცე აივსო



საზღვაო ქალაქის სიკეთით რომ დიდად ვერ სარგებლობს ფოთი, არაა ახალი, მაგრამ ახალ-ახალ პრობლემებით დაბრუნდა, ისედაც მძიმე სიტუაციის, წლების განგავლობაში, მიუხედავად ხალხის მოთხოვნისა, პროტესტისა, აყროლებულია ქაფშიის სუნით ქალაქი, ისე, რომ სუნთქვა ჭირს. თბილისელებს არ აწუხებთ, ჩამოვლენ ჩემოდნებით, ალბათ, ერთი დღით, წაიღებენ თავის წილს და ჩვენ ისე გაბრწყინებულს დაგვტოვებენ. თევზის გადა მამუშავებელი საამქრო უნდა გადაიტანონ ქალაქიდან ან მოაწესრიგონ გამწმენდი სისტემა, რაც ძვირი ჯდება, უმნიშვნელო ჯარიმების გადახდით წლებით იხანგრძლივებენ სიცოცხლეს, ეს ვაი ბიზნესმენები ფოთელთა სიცოცხლის ხარჯზე.

იმედია, შესაბამისი უწყებები დროულად მიხედავენ ამ საქმეს, ვიდრე სერიოზული გართულებები მოყოლია მას. ამ მოთხოვნით ამასწინათ განაწყნებული ფოთელები, უკვე მერამდენედ მიადგნენ ამ საწარმოს, მაგრამ ამოდ, გამოდის, ფოთელები აყროლებულ თევზის სუნთან ერთად თავმოყვარეობასაც ვყლაპავთ.

განწყობა, თანამედროვეობა და მოდა

თანამედროვეობას, მოდას აყლილი ადამიანი, ყოველთვის რაღაც უცნაურად გამოიყურება ხოლმე. მე არ ვიცი რა იქნება მოდა ხვალ, მაგრამ, ის კი წინასწარ ვიცი, რა მომიხდება, შემეფერებ ზეგ, რით მოვიწონო თავი. ადამიანის გონება განვითარდა უკვე იმ დონეზე, შეძლო, შეექმნა, ჩამოეყალიბებია მთავარი, სტაბილური სტილი. მოდელი, არა ხასიათის, არამედ, საზოგადოებრივი თვალსაზრისის მიხედვით. მოსე ხონელის ამირან დარეჯანიანი ცოლს ირთავს, საცოლე მგლოვიარეა, მამა ყავს მეკვარი. დაინიშნება ნადიმის (ქორწილის) დღე. მოიწვევენ სტუმრებს, ნადიმის დღეს, უცნაურად გამოჩნდება ის, რომ საპატარძლო ისევე მგლოვიარე სამოსელშია გამოწყობილი. ამ უცნაურ, შეუფერებელ შემთხვევას, მსწრაფლ გამოეხმაურება ცალკე საპატარძლოს დედა, ცალკე საპატარძლოს დაქალები და მკაცრად შეახსენებენ, შენიშნავენ, რომ-დღეს, ამ საზეიმო ვითარებაში არ ეგების

ძაძებში ყოფნა, არამედ აუცილებელია საზეიმო სამოსელით მორთვა. მაგრამ საპატარძლომ თავი ვააქნია და განაცხადა: მე ვიცი როდის უნდა გავიძრო შეგებო. ამირანს კი, (სასიძოს) სიზმარი ქონდა ნანახი და ის ადარდებდა. (უახლოეს მეგობარს, სავარსამისძეს უამბობდა- ულამაზესი ქალი გამოთეცხადა სიზმარში და მითხრა, თუ მეფე არ გახდები რა ვაჟკაცი ხარ, თან სინანულით ამბობდა-ისე ეშმაკური მგონია ეს სიზმარი, ასე მგონია დამაფრთხიებს ხელებს ყველაფერზე). საპატარძლოსა და სასიძოს საქციელი მართლაც მიმანიშნებელი გახდა იმისა, რომ ამირანი განწირული იყო. ძაძები რომ ძაძებია, ისიც კი უხდება, ადამიანებს მგლოვიარეს, რადგან აქ, ყოველგვარი მოდა გამორიცხულია, არამედ ვიცი, ვხედავთ, არსებობს მხოლოდ გარემოების შესაფერი წესი და რიგი, რომელსაც ქმნის, აყალიბებს ბუნებრივი ხასიათი მოვლენასთან დაკავშირებული. და განწყობილება არ გაძლევს იმის უფლებას, გაექცე, უგულვებლყო სუ-

ლისა და გულის გამოძახილი. ვეფხისტყაოსანში ტარიელი ამბობს:- მამა რომ მომიკვდა, ძაძებით შევმოსე ოთახი, თავზე ნაცარი დავიყარე და ისე დავეყავი წელიწადი კარჩაკეტილში. ერთი წლის შემდეგ ძლივს გამომათრეს მეფემ და დედოფალმა იქედან. რათქმაუნდა, მამის სიკვდილში გლოვის ზარი ვაცხადდა, რომელიც ერთ წელიწადს არ შეწყვეტილა. განწყობილების და წესის მიხედვით. რა თქმაუნდა, რაც შეეება პიროვნებას, ხასიათს, მოდას თუ ტრადიციებს, რაც საზეიმო თუ სამგლოვიარო რიტუალთანა დაკავშირებული, ამოუწურავი თემაა. მაგრამ ყველფერის, რაც ბუნებასთანა დაკავშირებული და ადამიანისათვის უნებლიე განცდას წარმოადგენს, - შთამბეჭდავია, - ვერსად გავექცევით. რამეთუ, სიცოცხლე მხოლოდ მაშინაა მშვენიერი, როდესაც მშვენიერდება და გესმის, - „შიში ვერ იხსნის სიკვდლსა, ცუდია დადრეჯილობა“.

ლავით ჩირვაკი

კოჩია

შენ მანონებ თავს და ძე ვარ ღამნაძე

შენ მაწონებ თავს და მე ვარ ღამნაძე, გულში ტომ მთავსდა, მანთონს საყვო მთვარე, ვითარ გაზავსეულის სურნულვან სულში ვართ ჩვენ მთქველი და მზე ჩვენ არ გვარჩის. მაგრამ მსურვალემა, თდამნთა ძვიშის, მზემან დავგამოდა გულს ტომ გადაგვიშლის. და თუ გათიქრაქო გულწრთულმას ვეცრთოთ, შიბინდების ქამზე სურვილს ვღვინთ ვვრთხით. და ამ მიმდევრად ხასიათის თმინა, მწამს გამწყრალი განცდის სიბლად გამთვლუნა სად სურვილის სულში მთქველი სული იბრბვის არცასეში ვრებით დაისრული.

ლავით ჩირვაკი

ს ზ მ რ ტ ი . . . ს ზ მ რ ტ ი . . . ს ზ მ რ ტ ი . . . ს ზ მ რ ტ ი . . .

გზა დიდი სხვატეზობისაკენ პიორბი კორსანტია „პითას“ ჟურნალი



ალბათ, ბედნიერი დამთხვევაა, რომ, დაბადების დღეს შედგა ჩვენი სეზონური, არადა, ერთი კვირაა ვაპირებდით, ვერ მოვახერხეთ და, როცა შევხვდით გაირკვა, რომ მისი დაბადების დღე ყოფილა.

-პიორბი კორსანტია დაიბადე და სად?

-დავიბადე 1998 წლის 11 იანვარს ფოთში და შუბლზე იტყვიან ხელი - დღეს ხომ 11 იანვარია ჩემი დაბადების დღე და ბავშური

დიმილი გადაეფინა სახეზე. მშობლები სოხუმიდან არიან- განაგრძო მან, იძულებით გადაადგილებულები, შალჩი კორსანტია შვილი ვარ მე. იცნობთ ალბათ, აფხაზეთიდან ტოლვილს. არადა, ვინ არ იცნობს ფოთში შალჩი კორსანტიას, ის ხომ ჩამოსვლის დღიდან ნამდვილად ფოთის კოლორიტი გახდა. თავისი ხალასი და განუმეორებელი იუმორით და გიორგიმ გააგრძელა თავისი მოკლე ბიოგრაფია.

დღიდან დაბადებისა სულ მესმის აფხაზეთი, აფხაზეთი, სოხუმი და მეც ვამბობ აფხაზეთი ჩემი, მენატრება სოხუმი და მჯერა მე ნამდვილად ჩავალ.

ფოთში ვცხოვრობ - კუნძულის უბანში, დუმბაძის ქუჩა №90-ში, მყავს ორი და და ერთი ძმა, სულ ოთხნი ვართ.

9 წელი ვსწავლობდი სკოლა „ბაღვაძეში“, 1 წელი მე-2 საჯარო სკოლაში, ამჟამად ვსწავლობ თბილისის 112 სკოლაში.

კალათბურთის თამაში დავიწყო 2010 წელს, ჩემი მრწათელი იყო როლანდი ბარუჩაძე, თბილისის „დინამოს“ ყოფილი წევრი. იგი უმჯობესად გადმოგვცემს იმ მდიდარ გამოცდილებას, რაც თბილისის „დინამოში“ წლების განმავლობაში თამაშისას დაუბრუნდა.

მე მას დიდ პატივს ვცემ რო-

დაიბადა 1998 წლის 11 იანვარს ფოთში
2013 წლიდან თამაშობს „პითას“ ახალგაზრდულ გუნდში სიმაღლე 2მ 5სმ

-როგორია შენი ღონის რაჟიმი?

გორც მწვრთნელსა და როგორც კარგ ადამიანს.

თბილისში 2013 წელს ამიყვანეს „პითას“ ახალგაზრდულ გუნდში, რომელიც თამაშობს საქართველოს პირველობაზე ახალგაზრდულ ლიგაში, სადაც 15 გუნდია. ჯერ-ჯერობით მე-2 ადგილზე ვართ. ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ საქართველოს ჩემპიონობა და შემდეგ მონაწილეობა მივიღოთ საერთაშორისო ტურნირებში.

მიწვეული ვარ 19 წლამდე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, რომლის შემადგენლობაშიც მითამაშია, საბურძენთის, იტალიის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის გუნდების წინააღმდეგ.

-პიორბი, რა არის შენი ოცნება?

-ჩემი ოცნებაა „პითას“ შემადგენლობაში მოვიგო საქართველოს ჩემპიონატი, შემდეგ ვითამაშო ევრობასკეთში და მოვხვდე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. ვითამაშო მსოფლიო პირველობაზე.

-თავისუფალი დრო საერთოდ არ გვაქვს.

სულ შეკრებების რეჟიმში ვარ, რამოდენიმე დღით გამომიშვებს საახალწლო არდადეგებზე და ისევ მუშაობს თბილისში შეკრებაზე.

აგერ მეგობრები დამდევენ, უნდათ დამელაპარაკონ, მაგრამ დრო არ მაქვს (იცინის) ვხედავ ერთი სული აქვს როდის დაამთავრებს ჩემთან საუბარს. მეც თანაუგრძნობ. ვულოცავ დაბადების დღეს და შობა-ახალწელს. გუსურვებ წარმატებებს და ოცნებების ასრულებას.

ხელს მართმევს და მპირდება ახლო მომავლის ჩამოვა და გაეგრძელებოთ დაწყებულ საუბარს.

P.S. რედაქცია ულოცავს ბატონ გიორგის დაბადების დღეს, შობა-ახალწელს და უსურვებს ყველა ოცნების ასრულებას.

დაე, ესახელებინოს ფოთი, აფხაზეთი და სრულიად საქართველო.

O. სპერი



შვილები: სამსონი და პაატა;რძელები ნანა და ვერტიკ; შვილიშვილები: ნანა, ნიკა, ირაკლი, დათო და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა პაპასკირი -კუჭალიანი

დაკრძალვა შაბათს, 23 იანვარს, 15 სთზე

ბაგოსათხოვნი ნათელა პაპასკირი-კუჭალიანი სსოვნას

„მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა“...

როცა დედა ტოვებს წუთისოფელს, თითქოს წუთი სოფელი მთავრდება, დედა, ხომ სამყაროს მშობელიცაა, მთავრდება განვლილი ცხოვრების ეპოპეა-ლამაზი ბედნიერებით, სიხარულით აღსავსე, დედა წინ მიუძღოდა შვილებს ცხოვრების აღმართზე და სიმაღლის არ ეშინოდით, დედა გაზაფხულივით სიცოცხლით სავსე და უსასრულოა. დედა ყველაფერს წვედობდა, პასუხს სცემდა მტერ-მოყვარეს. შვილებს საყვარელ მეუღლესთან ერთად ერისკაცების მაგალითზე ზრდიდა, მეგრულ-აფხაზურ ადათ-წესზე გაზრდილი გულდი ა ქალბატონი დაუვიწყარია-მისი მასპინძლობა ქართული სულის ზეიმი იყო, ამიტომაც არ აქვდა მეგობრები, ახლობლები, ნათესავები, განსაკუთრებით მშობლიური აფხაზეთიდან, რომლებიც უკანასკნელი გზაზე გამოსამშვიდობებლად ჩამოვიდნენ დიდ ქალბატონთან. ყველანი ქელს იხრიან და მადლობას უხდიან ავადმყოფობასთან ჭიდილში დაღლილს, სამუდამოდ ემშვიდობებიან იანვრის სუსხიან დღეს, ცრემლის წვიმა, რომ მიაცილებს. სიკვდილსაც არ ეპუებოდა, დედა სიცოცხლეს ეთ-

ხოვებოდა, შვილები დედას, სიცოცხლის ძაფი არ წვედობდა.

ლამაზი სიზმარივით გაიღია ერთი ქალბატონის ცხოვრება. ისევ შვილებზე, შვილიშვილებზე დარღობს რომ მიყვება და ესხა ზეციდან ღოცავს მის დანატოვარს.

თვალს ვავლებთ ირგვლივ მის მიერ მოვლილ კარ-მიდამოს, სიკეთე და სიცოცხლეა, მონატრებად იქცა ყოველივე, ისევ ბავშვებზე დაელოდებიან დედას, უკვე დიდი შვილები, დაკოჟილი ხელით, დაღლილი თვალების სევდიანი მზერით, როდის შემოადლებს კარებს:

„ვაი შენ წუთისოფელო, დამცადე ათას ფერადა“ - ვინ იცის იქნებ დარდად მიყვება ამ ამოუცნობი წუთისოფლის გამოცანა.

იანვრის სუსხი, ცრემლების წვიმა მიაცილებს:

„მიდიხარ ტკბილი გქონდეს მგზავრობა“.

შენი შვილის
სამსონ კუჭალიანი მამობრები

გაზეთ „ნიკოლაის გზით“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ საკრებულოს წევრს ბატონ სამსონ კუჭალიას დედის

ნათელა პაპასკირი -კუჭალიანი
გარდაცვალების გამო

სსოვნა ნიხი პაპასკირის მონახება „სიცოცხლე ჯაცად ყოფნის ხეკვდა ყოფილს“...

როცა ადამიანები, განსაკუთრებით კარგი კაცები მიდიან ამ ქვეყნიდან, მაშინ ვხვდებით ვინ და რა დაგვაკლდა, რამდენი დიმილიანი შეხვედრა, თბილი მოკითხვა, მხარდაჭერა საქმით, გულით, კაცობით, მოკლედ, სინანული დაგვრჩა, იქნებ ვერ მოვეფერეთ, ვერ ვუთხარით სამადლობელი თანადგომისთვის და ეს ტკივილი სამუდამო მონატრებაში გადაიზარდა - ნეტავი წამოგაყენა კიდევ რამდენი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღეველი -სიყვარულზე, დანდობაზე, ძმობაზე და მეგობრობაზე. ქართველი კაცის ყველა ღირსეული თვისება ატარე-შრომისმოყვარეობა, ოჯახის, ახლობლების, ქალაქის და ქვეყნისათვის თავდადება. ნავსადგურელები პატივს მიაგებენ შენი, როგორც კარგი ვაჟკაცის ხსოვნას, ვისი ცხოვრების მაგალითზეც იზრდებოდნენ ახალგაზრდები.



სანიმუშო ოჯახი-მეუღლე, შვილები და შვილიშვილები, რაც შენთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე იყო და გეამაყებოდა-კარგი ოჯახი, ის ხომ ციხე-კარია, ქვეყნის ბურჯი და საყრდენი.

ჩემად იცხოვრე და ჩემად წახვედი და წასვლით შეგვახსენე, რომ: ადამიანები უკვდავები არა ვართ, და ვიდრე ამ წუთისოფელში ვტრიალებთ, სიკეთე უნდა ვეთესოთ, ვემსახუროთ ხალხს, ქვეყანას, ესაა ყველაზე დიდი საგზალი ღვთისკენ მიმავალ სამუდამო გზაზე. სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა, სიკვდილი-კაცად არყოფნის.. წახვედი ისე, რომ არავის ვალი არ გაყოლია, პირიქით -ჩვენ ვართ ვალში შენი კაცობის წინაშე.

პირველად შევხვდით 16 იანვარს შენს დაბადების დღეს შენს-გარეშე, არადა, როგორ გიხაროდა-„ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მეო!“

თავს ზემოთ ძალა არ არის-სხვა რა დაგვრჩენია-ჭიქა დვინო და საფლავთან მიტანილი ყვაილები.

მეგობრები

გაზეთის ეს ნომერი დასაბრუნებლად შპს „ნიკოლაის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკოლაი ბარბაქაძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.